



Youth Make Positive Changes!
ახალგაზრდობა დადებითი ცვლილებებისთვის



ინფორმაცია მედიისთვის

10 აგვისტოს, 17.00 სთ. სტარტს აიღებს პროექტი „ახალგაზრდები დადებითი ცვლილებებისთვის“, რომელსაც გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, ასოციაცია „ერთმანეთისთვის“ და ა(ა)იპ „ბათუმის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი“ ახორციელებს. პროექტის მიზანია აჭარის რეგიონის ახალგაზრდების კოორდინირება და სოფლად მათი მდგრადი განვითარების ხელშეწყობა.

საინფორმაციო შეხვედრაზე, რომელსაც აჭარის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები 100 ახალგაზრდა დაესწრება, აქცენტი გაკეთდება ისეთ თემებზე, როგორცაა: საქართველოს ევროპული გზა, უსაფრთხოება, თავდაცვა, განათლება, ეკოლოგია და სოფლის განვითარება. მოწვეული სპიკერები ისაუბრებენ აგრეთვე ევროინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობასა და ამ პროცესში ახალგაზრდობის როლის წარმოჩენაზე; სოფლის განვითარების მიზნით ლიდერობის, ინოვაციური მიდგომების გამოყენებასა და ლოკალურ და მასშტაბურ დონეებზე სამოქალაქო აქტიურობაზე.

საინფორმაციო შეხვედრა ქედის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, ღია ცის ქვეშ, მახუნცეთის ავტოსადგომის ტერიტორიაზე მოეწყობა (უამინდობის შემთხვევაში - ქედის კულტურის ცენტრის დარბაზში)

პროექტი რამდენიმე თვის მანძილზე გაგრძელდება, მოეწყობა თემატური სემინარები, ტრენინგები, ვორკშოპები, დისკუსიები. გამოცხადდება შემეცნებითი და ბიზნეს-იდეების კონკურსები. დასკვნით ეტაპზე კი მოეწყობა ახალგაზრდული ფორუმი, რომელიც პროექტის მიმდინარეობის მანძილზე შერჩეულ აქტივისტებს და გამარჯვებულებს გააერთიანებს.

ჩატარების დრო და ადგილი: 17.00 ქედის მუნიციპალიტეტი, მახუნცეთი

(უამინდობის შემთხვევაში - ქედის კულტურის ცენტრის დარბაზი)